

აშშ-რუსეთის გადატვირთვის პოლიტიკა 2009-2014 წლებში

ირინე შევარდენიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: პოლიტიკის მეცნიერება

მიმართულება: საერთაშორისო ურთიერთობები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი გვალია

პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ასოცირებული
პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი



თბილისი, 2014

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად”

ირინე შევარდენიძე

12.06.2014

აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი ეხება აშშ-რუსეთის გადატვირთვის პოლიტიკას 2009-2014 წლებში. თემაში განხილულია ამ ორი ქვეყნის ურთიერთობათა ფაზები 21 საუკუნის დამდეგიდან; საუბარია ამერიკის ორი პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშისა და ბარაკ ობამას სტრატეგიების შესახებ, როგორც რუსეთთან, ასევე აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების საკითხთან მიმართებაში. ვინაიდან ნაშრომის მთავარი კვლევის საკითხი ეხება გადატვირთვის პოლიტიკის დაწყების მიზეზების გამოძიებასა და განხილვას, ამერიკის მხრიდან ეს ნაბიჯი, განვიხილავთ რეალისტური კონცეფციის ჭრილში და რეალისტური თეორიიდან გამომდინარე, შევეცადოთ ამეხსნა ამერიკის მსგავსი ქმედება.

არსებული კვლევა, მეთოდოლოგიურად მიეკუთვნება თვისებრივი კვლევის კატეგორიას. მისი მეშვეობით, სხვადასხვა ჟურნალებისა თუ საგაზეთო სტატიებზე, ასევე ოფიციალურ დოკუმენტებზე დაყრდნობით, შესაძლებელი გახდა კვლევის საფუძვლიანად ჩატარება.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ამერიკის ქმედებები, ძირითადად თავდაცვითი რეალიზმის შტრიხებით ხასიათდება. ამერიკა ცდილობს მიიღოს ისეთ გადაწყვეტილებები, რაც მინიმალურ ზიანს მიაყენებს საკუთარ ღირებულებებს. „ეროვნული ინტერესის“ სიმბოლოში ადრე ნაგულისხმევი კეთილდღეობა დღეს, უსაფრთხოების ინტერპრეტაციით შეიცვალა. აშშ-ს საგარეო პოლიტიკის კურსის ფორმირებაში დიდ როლს, სწორედ ეროვნული უსაფრთხოება ასრულებს.

არსებობს სფეროები, რომელზე რუსეთთან მუშაობითაც, აშშ შეძლებს როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყანასთან ურთიერთობის ნორმალიზაციას, ასევე საკუთარი ინტერესების წინა პლანზე გამოტანასა და საერთაშორისო სისტემაში ძალთა ბალანსის შენარჩუნებას.

ბარაკ ობამამ, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, რუსეთთან ურთიერთობის დათბობის სტრატეგიით, რეაგირება მოახდინა შეცვლილ საერთაშორისო

გარემოებებზე. ამ ნაბიჯით, იგი შეეცადა, როგორც რუსეთთან პირადი ურთიერთობების მოგვარებას, ასევე მისი აგრესიული ქმედებების შეჩერებას.

ძირითადი საძიებო სიტყვები: საგარეო პოლიტიკა, ეროვნული უსაფრთხოება, თანამშრომლობა, რეალიზმი.

Abstract

The present master thesis is about The US-Russia Reset Policy in 2009-2014. The subject is about the relations between US and Russia from the early 21st century and strategies of W.Bush and Barack Obama toward Russia, as well as national security. I've tried to explain The US decision to start the "Reset" with the help of the realistic conception, as the main research question deals with the investigation and consideration of the subject above.

The research methodology belongs to the category of qualitative research as it makes possible to conduct a thorough research based on the variety of magazines, newspaper articles and official documents.

The study revealed that the US actions are basically characterized by the realistic approach. The country tries to make decisions that will cause the least harm to their values. The default meaning of 'wealth' In the symbol of "national interesets" is now interpreted as the 'security' and national security plays the key role in the shaping of foreign policy.

There are several areas for US-Russia cooperation that will make possible for the US to normalize diplomatic relations with the former Soviet Union as well as to bring their own interests in the foreground and maintain the balance of power in the international system.

After coming to power, with strategic case of warming relations toward Russia, Barack Obama responded to changed international circumstances. He tried to normalize relations with Russia as well as to stop its aggressive actions.

Key Words: Foreign policy, national security, collaboration, realism.